ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 282 (20023) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ▪ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ▪ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ გაერთიანება „ბორჯომის“ მეთაური ქარხანაში სიახლეა — მთავარ საამქროში დამონტაჟდა ბულგარული წარმოების

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ

ამიერიდან ყველა შრომატევადი ოპერაცია — ყუთებიდან ბოთლების ამოღება, გარეცხვა, მინერალური წყლის ჩამოსხმა, ბოთლების ეტიკეტირება და კვლავ ყუთებში ჩაწყობა ავტომატურად მოხდება.

ხაზი, რომლის მწარმოებლობა საათში 24 ათასი ბოთლია, დაამონტაჟა საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ სარემონტოსამონტაჟო ბრიგადამ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო. ავტორიტეტი ჰქონდა დაკარგული საწარმოს სამარკო პროდუქციას. კოლექტივი იბრძოდა, რომ

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ

გასულიყო. ასორტიმენტის გაანახლება იყო უპირველესი საზრუნავი. შრომის სწორი ორგანიზაციის, დისციპლინის განმტკიცების წყალობით მდგომარეობა გამოსწორდა და 1987 სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების გარანტია შეიქმნა.

და აი, 11 თვეში ნორმატიული წმინდა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმ. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 102,2 პროცენტი შეადგინა. გეგმა შესრულდა 101,6 პროცენტით, რეალიზაციის მოცულობ. 108,3 პროცენტით გაიზარდა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 6 მილიონ 4 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

დღეს საწარმოს ღარ ქვა ალი, მთლიანად ელმოფხვრა ზენორმატიული ნაშთები. და მოგების ფონდმა უკვე 7 მილიონი მანეთი შეადგინა.

ოლიტმენ ვალდებულება ავისრა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შესრულოს წლის სახელმწიფო გეგმები.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲐᲮᲚᲐ წინა პლენუმზე დგება კონკრეტული საქმეები. ჩვენი საქმიანობა ინაცვლებს გარდაქმნის მეორე გადამწყვეტი ეტაპის ამოცანების ორგანიზაციული, იდეოლოგიური, პოლიტიკური და ზნეობრივი უზრუნველყოფისათვის, ითქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელზეც განიხილეს პარტიული მუშაობის ამოცანები გარდაქმნის ახალი ეტაპის — მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მთავარ მიმართულებათა უზრუნველყოფის საქმეში.

რა მდგომარეობაა ახლა გარდაქმნის მეორე ეტაპის დასაწყისში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში და, კერძოდ, მრეწველობაში, როგორ ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი?

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გასცემს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც გაისად იანვარში გაიმართება. დიახ, პლენუმზე მთლიანად გამოიკვეთება ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, მაგრამ უკვე დღეს შეიძლება ითქვას, რომ დაისახა დადებითი ტენდენციები, არის წინსული. ეს განაპირობა მრავალი მიზანმიმართული პოლიტიკური, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიების განხორციელებამ, კადრების სწორმა გადანაწილებამ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე კომპეტენტური მუშაკების დანიშვნამ, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებამ, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებამ. წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აგრეთვე დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, შრომითი მეტოქეობის უფრო გააზრებულმა ორგანიზაციამ.

როცა ამას ვლაპარაკობთ, ცხადია, ვეყრდნობით უაქტებს, რეალურად მიღწეულ შედეგებს. მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით 96 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, სოციალისტური წლიური ვალდებულება კი 50 მილიონს ითვალისწინებდა. ასე რომ, წლის დამლევამდე დარჩენილ დროში ზეგეგმითი პროდუქციის მოცულობა კვლავ გაიზრდება.

მოპოვებულია გათვალისწინებულზე მეტი ნავთობი და გაზი, გამოდნობილია ზეგეგმითი ფოლადი. ნავარაუდევს სჭარბობს გამომუშავებული ელექტროენერგია, გამოშვებული სინთეზური სარეცხი საშუალებანი, ტრიკოტაჟის საცვლები, შალის ქსოვილი, ტყავის ფეხსაცმელი, მრავალნაირი კვების პროდუქტები.

სამრეწველო პროდუქციის მატებამ მარწმუნებელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 4,1 პროცენტით, რაც მთელი 0,4 პუნქტით აღემატება მიმდინარე წლის დამლევისათვის დაგეგმილ დონეს. მართალია, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების უმეტესობამ მიაღწია დასახულ მიჯნებს, მაგრამ დასამშვიდებელი ოდნავადაც არაფერი გვაქვს.

უკან გვეწევა მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოები, დარგისა, რომელზეც, პრაქტიკულად, მთლიანად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და, მაშასადამე, მთელი ეკონომიკის სწრაფი განვითარება. ეს საკითხი პარტიის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ჩვენ გვაფიქრებს მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ჩარხმშენებლობაში, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროებში. ნელა წყდება მოდერნიზაციის ამოცანები სხვა მანქანათმშენებლობის სამინისტროებშიც.

ეს მთლიანად და სავსებით ეხება ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის კომპლექსის წამყვან საწარმოებსაც. თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ, მაგალითად, თერმეტი თვის გეგმის შესრულებას დააკლო 5,1 მილიონი მანეთის, „ელმავალმშენებელმა“ — 8,8 მილიონი მანეთის, „საქელექტრომანქანამ“ — 1,7 მილიონი მანეთის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმო გაერთიანებამ — 24,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. აბა, რა გასაკვირია ამის შემდეგ ის, რომ ზემოწამოთვლილმა გაერთიანებებმა დაარღვიეს სახელშეკრულებო დისციპლინა და შემკვეთი ამაოდ ელოდა მათგან მილიონობით მანეთის პროდუქციას.

ამ გაერთიანებების ნედლეულითა და მასალებით მოუმარაგებლობასთან დაკავშირებულ ობიექტურ მიზეზებთან ერთად მდგომარეობას ართულებს წარმოების მთელი რიგი რგოლების ხელმძღვანელთა არაკომპეტენტურობა, კვალიფიციური სპეციალისტებისა და მუშების ნაკლებობა, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვისათვის ნაკლები ზრუნვა, სხვისი მოიმედეობით ცხოვრება, უინიციატივობა, უპასუხისმგებლობა, სუსტი ეკონომიკური აზროვნება, ბიროკრატიზმი, ადამიანის ფაქტორისა და რაც, ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, სოციალური საკითხების მოუგვარებლობა, საქმისადმი მიდგომის ძველი ინერციის დაძლევლობა.

ახლა ეს „საქთვუზრკნელის“ საწარმოო გაერთიანების, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი, ცხინვალის ვიბრაციული მანქანებისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, საქთვეზის მეურნეობის სამმართველოსა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმოს კოლექტივების, ხელმძღვანელთა და პარტიული ორგანიზაციების მისამართითაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ თერმეტი თვის გეგმის შესრულებას მარტო „საქთვუზრკნელის“ საწარმოო გაერთიანებამ 16,8 მილიონი მანეთი დააკლო. არადა, აქ ჩამოთვლილი ყველა საწარმო მომავალი წლიდან თვითდაფინანსებასა და თვითნაზღაურებაზე გადადის. სამეურნეო ანგარიშის პირობებში მათთვის მთელი სიმკაცრით ამოქმედდება კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ჩამორჩენილი საწარმოები ახლებურ პირობებში მუშაობისას, თუ გადაუდებელ ღონისძიებებს არ განახორციელებენ ეკონომიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად, თუ არ გამოიკვეთა მათს საქმიანობაში პარტიული ხელმძღვანელების, კომუნისტთა ავანგარდული როლი. ჩვენ ერთხელ კიდევ შევახსენებთ საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს: ნუ ელოდებით მითითებებს ზემოდან, იმოქმედეთ გაბედულად, თუ საჭირო გახდა, გასწიეთ სამეურნეო რისკიც, ნუღარ იქნებით გეგმების კორექტივების იმედით, თამამად დაიწინაურეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე საქმის მცოდნე და ერთგული კადრები, ტექნიკურ ან ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ რაიმე გადაწყვეტილებების მიღებამდე მოეთათბირეთ კოლექტივს, მუშებს, არ გადადგათ არც ერთი ნაბიჯი, რომელიც ენინააღმდეგება კანონს სახელმწიფო საწარმოს შესახებ, განუხრელად იხელმძღვანელეთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი კომპლექსური გეგმებით.

პროდუქციის მიწოდების ვალდებულებების შესრულებისათვის კონკრეტული ღონისძიებები უნდა განახორციელონ აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა, ქუთაისის ლითოფონისა და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელმა ქარხნებმა, ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის, გორის ბამბეულის, ქუთაისის და თბილისის აბრეშუმის, თბილისის „ბახტრიონის“ ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებებმა. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით რესპუბლიკის მრეწველობამ მომხმარებელს გათვალისწინებულზე 154,8 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია მიაწოდა და ამაში მნიშვნელოვანწილად ეს საწარმოებიც სცოდავენ. დასანანია, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის მაჩვენებელი მარწმანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.700 ათასი მანეთით გაიზარდა.

შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებაც. მარწმანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი 2,1 პროცენტით გაიზარდა. ამ მაჩვენებლის ზრდით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 84 პროცენტი, რაც სამი პროცენტით აღემატება იანვარ-ოქტომბრის დონეს.

რამდენადმე გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც. დამზადდა გეგმით გათვალისწინებულზე 11.100 ათასი მანეთით მეტი ღირებულების უმაღლესი კატეგორიის ნაწარმი. ამასთან პროდუქციის სახელმწიფო მიღებასთან დაკავშირებული უაქტები მოწმობს, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. თერთმეტ თვეში არასაუწყვნო კონტროლმა საბოლოოდ 434 ათასი მანეთის პროდუქცია დაიწუნა. არ უნდა მტკიცება იმას, რომ სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის პირველ პერიოდთან შედარებით სამრეწველო საწარმოებმა მრავალი სირთულე დაძლიეს, ბევრ რამეში გაერკვნენ, დარწმუნდნენ, შეიგნეს ახლებური შუამობის აუცილებლობა, და ეს მათი მოქმედების უცილობელი შემადგენელი ნაწილი გახდა. მომავალი წლიდან არასაუწყვნო კონტროლზე გადადის მრავალი საწარმო, რომლებიც ნედლეულსა და მასალებს აწვდიან ამ მეთოდით უკვე მომუშავე 21 საწარმოს. სახმილებაზე გადამსვლელმა საწარმოებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ შუამობის პირველი დღეებიდანვე მიაღწიონ მიზანს, სასწრაფოდ აღმოფხვრან ვიწრო ადგილები.

როცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, როგორიც არის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. თერთმეტი თვის სახელმწიფო გეგმა ამ მიმართულებით გადაჭარბებით შესრულდა, მარწმანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადდა 500 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი. აქვე დავძენთ, რომ ყველა სამრეწველო საწარმო და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის გაერთიანებები, კალეგული ქარხნები კვლავინდებურად მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნევენ ფართო მოხმარების საგნების წარმოებას, და მათზე ცალკე გვექნება საუბარი.

მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების სიმძიმის ცენტრი ინაცვლებს შრომითს კოლექტივებში, მიზნად ისახავს იმ პრინციპების დაუფლებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია კანონში სახელმწიფო საწარმოს შესახებ. ამ საკითხს ხაზი გაესვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებულ თათბირზე. მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს მიმდინარე სახალხო-სამეურნეო გეგმებიც — მათი შესრულებით ისახამს ხორცს გარდაქმნის ამოცანები, მიიღწევა რეალური შედეგები ადამიანების საარსებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. განსაკუთრებით შუაღამ და თანამიმდევრულ შუამობას მოითხოვს ისეთი ყველაზე საარსებო ამოცანების გადაწყვეტა, როგორიც არის სასურსათო მომარაგება, ბინათმშენებლობა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდა, მისი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

ახალი სამეურნეო მექანიზმის მოქმედების პირობებში მუშაობაზე შრომითი კოლექტივების გადასვლა დღის წესრიგში აყენებს იმის აუცილებლობას, რომ ფართოდ დაეუფლოთ ეკონომიკურ ცოდნას, კერძოდ, სამეურნეო ანგარიშს თვითდაფინანსებისა და თვითნაზღაურების საკითხებში.

კადრების სწავლების, მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაციასთან დაკავშირებული უნდა იყოს მკვეთრი შემობრუნება მათთან მუშაობის დემოკრატიზაციისაკენ, მათი გულმოდგინე შერჩევისა და დაწინაურებისაკენ. კონტროლი ქვემოდან, ხელმძღვანელთა ანგარიშვალდებულება, მათი შეცვლა, კრიტიკა და თვითკრიტიკა ყველგან უნდა იქცეს ცხოვრების ნორმად.

იწყება ეკონომიკის გარდაქმნის ახალი პასუხსაგები ეტაპი. სამეურნეო ანგარიშმა მთლიანად უნდა გამოავლინოს, ვის რა შეუძლია. ამ უმკაცრესი გამოცდის ჩაბარება ყველა საწარმოს კოლექტივის, ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა. ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ სოციალური მარგალკეთი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შევუქმნათ მომავალი წლის გეგმების წარმატებულ რეალიზაციას, ახალი სამეურნეო მექანიზმის შეუფერხებელ მოქმედებას.

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიულოცა ჰიროჰერტო შინკონა გალიარდოს მექსიკის სოციალისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე არჩევა. ეს პარტია შეიქმნა ქვეყნის ექვსი პარტიის გაერთიანებული ძალისხმევით.

„გისურვებთ თქვენ, მექსიკის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და წევრებს, — ნათქვამია დეპეშაში, — წარმატებას მშრომელთა ინტერესების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. დაე მექსიკის სოციალისტური პარტიის საქმიანობამ ხელი შეუწყოს სსრ კავშირსა და მექსიკის, საბჭოთა და მექსიკელი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას“. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲜ).

Մ. Ս. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანმხლებ ოფიციალურ პირთა შორის არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ს. ჩერნიაევი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინი.

ვნუკოვოს აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გაეცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ა. ა. გრომიკომ, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ბ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ნ. ვ. ტალიზინმა, დ. ტ. იაზოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ა. ბ. ბირიუკოვმა, ა. ა. ლუკიანოვმა, ვ. ა. მედვედევმა; გ. ბ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული ჯ. ჯორისი და სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ნ. მარშალი. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲜ).

ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲖᲔ. ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ Մ. Ս. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ Რ. ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ, ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

1987 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მთელი მსოფლიო, რომელიც დიდად ესწრაფვის ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთას, ყურადღებით ადევნებს თვალყურს თქვენს შეხვედრას ვაშინგტონში.

ჟენევასა და რეიკიავიკში თქვენს უმაღლესი დონის შეხვედრებზე ჩაიყარა საფუძველი. ჟენევაში თქვენ ერთად განაცხადეთ, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი თავიდან აიცილოთ გამაღლებული შეიარაღება კოსმოსში, ბოლო მოუღოთ მას დედამიწაზე და საბოლოო ანგარიშით მოსპოთ ბირთვული იარაღი ყველგან. რეიკიავიკში ამ ჩანაფიქრებმა განიარაღების კონკრეტულ წინადადებათა ფორმა შეიძინა. გისურვებთ წარმატებისაფვის მიგეღწიოთ ახლა, როდესაც ამ წინადადებათა განხორციელებას იწყებთ.

შუალედური სიშორის მთელი სამხედეთო ბირთვული ძალების ლიკვიდაციის შეთანხმების ხელმოწერა ბირთვული განიარაღების გზაზე გადადგმული პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახდება. მსოფლიო მოელის, რომ თქვენ სწრაფად იცლით წინ ამ გზით. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ თქვენს უმაღლესი დონის შეხვედრას მოჰყვება ისეთი აბმოსფეროს შექმნა, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ სწრაფად შეიმუშაოთ და დადოთ კიდევ უფრო შორს გამიზნული შეთანხმებანი განიარაღების დარგში.

ასეთ პირობებში შუალედური სიშორის ბირთვული ძალების ლიკვიდაციის მიეიჩნევთ არა იზოლირებულ მოვლენად, არამედ ნაშესვეტად, რომელიც მოასწავებს გამაღლებული ბირთვული შეიარაღების უცილობელ შეწყვეტას და ნდობის განმტკიცების პროცესის დაწყებას, რომელშიც განიარაღება საარსებო მნიშვნელობის როლს ასრულებს საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

თქვენი უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ ცოტა ხანში ჩვენ, როგორც ექვსი სახელმწიფოს ინიციატივის მონაწილენი, შევიკრიბებით სტოკჰოლმში, რათა შევაჯამოთ მოცემულ ეტაპზე განიარაღების დარგში მიღწეული პროგრესის შედეგები დ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ამოცანები, რომლებიც ჩვენ უპირველეს ამოცანებად მიგვაჩნია.

გადაწყვეტილებას ბირთვული განიარაღების საკითხებზე ჩვენ არ ვიღებთ, მაგრამ ომის თავიდან აცილებისა და სტაბილური და სამართლიანი მსოფლიო წესრიგის შექმნისათვის პასუხისმგებლობა აკისრიათ როგორც ბირთვულ, ისე უბირთვო სახელმწიფოებს. ჩვენი მხრივ, კვლავაც გამოვიყენებთ კაცობრიობის უბირთვო ნაწილის ხმის უფლებას იმ საკითხებში, რომლებზეც ყველა ჩვენგანის სიცოცხლეა დამოკიდებული. განზრახული გვაქვს განვაგრძოთ დიალოგი ბირთვული განიარაღების მიღწევის გზების შესახებ და დავადასტუროთ ყველა სახელმწიფოს როლი ჩვენი ცივილიზაციის გაძლება-გადარჩენის უზრუნველყოფაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს პირველადს პარტორგანიზაციებში კრებები გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის არჩევითი პარტიული ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშების განსახილველად.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ კომუნისტთა კრებები საერთოდ მიმდინარეობს ორგანიზებულად, საქმიან ვითარებაში, დემოკრატიის გაღრმავებისა და განვითარების, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერში. კომუნისტები საფუძვლიანად და ყოველმხრივ განიხილავენ ადგილებზე გარდაქმნის მიმდინარეობას, შრომითს კოლექტივებში საქმის მდგომარეობაზე პარტიული გავლენის გაძლერების საკითხებს, ბჭობენ მეურნეობრობის ახალ პირობებზე გადასვლის, მომწიფებული სოციალური პრობლემების გადაჭრის დაჩქარების, პარტიის ძირეული რგოლების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ. ცხოვრების ყველა სფეროში დაჩქარების, გარდაქმნის განხორციელებაში კომუნისტთა როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების გზების შემოქმედებითი ძიების სულისკვეთებით გამოირჩეოდა კრებები, რომლებიც გაიმართა თბილისის ელექტროგადამშემცველი ქარხნის, საგარეჯოს რაიონის ივრის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის, წალენჯიხის რაიონის 1-ლი მაისის სახელობის კოლმეურნეობის, ქ. სოხუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის პირველადს პარტორგანიზაციებში და ბევრ სხვა კოლექტივში.

უპირველესი ყურადღება ეთმობა შრომითი კოლექტივების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე ძვრებისა და ცვლილებების ანალიზს. პრინციპული ობიექტური შეფასება ეძლევა არჩევითი პარტიული ორგანოების მუშაობას გარდაქმნის პროცესების პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის. კრებებზე პრინციპული მსჯელობენ — დგას თუ არა პარტიული ორგანიზაცია განახლებისათვის ბრძოლის ავანგარდში, ანიჭებს თუ არა მისი საქმიანობა შემოქმედებითს იმპულსს ადამიანებს, განიხილავენ პოზიტიურ ცვლილებებს სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, მათი აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლებაში. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული ორმოცდაორი პარტიული ბიუროსა და კომიტეტის საქმიანობა.

მაგალითად, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის კომუნისტებმა თავიანთ კოლექტივში გარდაქმნის მიმდინარეობის ღრმა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მკაცრად შეაფასეს პარტიული კომიტეტის თითოეული წევრის, მისი მდივნის მუშაობა, და მიიღეს გადაწყვეტილება მოაწყონ ვადამდელი არჩევნები. პარტკომის 11 წევრთაგან ცხრას ნდობაზე უარი ეთქვა. კომიტეტის ახალ შემადგენლობაში აღარ აირჩიეს არც საწარმოს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ნაკლებად ზრუნავდა სოციალურ საკითხთა გადაწყვეტისათვის.

ამასთანავე გამართული კრებები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტორგანიზაციაში რადი იგრძნობა რეალური სასკეთო ძვრები, ყველგან არ გამხდარა ცხოვრების ნორმა კრიტიკა და თვითკრიტიკა, საჯაროობა, ნაკლოვანებათა შეურნგებლობა, საქმის მდგომარეობის გამოსწორების სურვილი. მაგალითად, კომუნისტთა სუსტი აქტიურობის პირობებში ჩაიარა გაერთიანება „პირიმზის“ პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რომელზეც კრიტიკულად არ გაუანალიზებიათ პარტბიუროს მუშაობა და არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები. ანგარიში და გამოსვლები ოკლაკიანი, ფორმალიზმისა და ორგანიზაციული ბლუკურობის ნიშნებს ატარებდა. ეს ბიუროს ერთ-ერთ ინიციატორ ბ. ბ. ბ.

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ

ᲐᲠᲘᲡ აგროსამრეწველო კომლექსები, სადაც მიმდინარე სიტუაციის მიხედვით, ზემოდან კარნახით ან პანაცეად გასაღებული ამა თუ იმ სიახლით შემთხვევით დაინტერესებულნი ყველაფერს ერობამად ეგლაუჭებიან: დღეს — გრანდიოზულ ფერმებს, ხვალ — ბოსლების რეკონსტრუქციას, ზეგ — ინტენსიურ ტექნოლოგიებს, მერე — კოლექტიურ იჯარას, საკვების საამქროებს და ა. შ.

თქმა არ უნდა, ეს ყველაფერი ცალ-ცალკე მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იზოლირებულად, უსისტემოდ, არამედ ადგილობრივი პირობების შესაბამისად მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული პროგრამის საერთო კომპლექსში, სადაც თავს იყრის დარგის განვითარების ხელშემწყობი ყველა ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი.

ამგვარი პროგრამის საფუძველზე ვითარდება დღეს მეცხოველობა აბაშის რაიონში.

ამ პროგრამის განხორციელებაში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი: აგროსამრეწველო გაერთიანება, რომლის ხელშიც არის თავმოყრილი მეცხოველობის დაგეგმვა, დაფინანსება და მართვა, ძალებისა და სახსრების ფართო მანევრირების, მათი უკეთ გამოყენების მეთხებით იბრძვის პირუტყვის პროდუქტიულობის მატებისათვის. პარტიის რაიკომი კი დარგის მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად ყველაფერს ღონობს იმისთვის, რომ ახალი ძვრები მოახდინოს სოციალურ სფეროში, შრომის შინაარსში; მისი შედეგების სამართლიანი განაწილებით თითოეულს მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის, ფერმის, მეურნეობის ბატონ-პატრონის გრძნობა ჩაუნერგოს.

ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ, ვთქვათ, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამა თუ ფერმის წვრილმანებითაც იყოს დაინტერესებული. ამ გარემოებამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო მაშინ, როცა გურამ გუნავასთან ერთად ნორიოს კოლმეურნეობის ფერმას ვათვალიერებდით. იგი შავ-ჭრელი ჯიშის ზორბატანიან ძროხას მიუახლოვდა და მოგვმართა:

— ეს ძროხა ოცდაათ ლიტრს იწველის, ეს კი — მგვეთითოთ უფრო დიდი ტანის შავ ფურზე, — ცოტა მეტს, — და რეკორდსმენი პირუტყვის დასახასიათებლად მწველავი მიმოზა ჩაჩხალია მოიხმო.

ეს, მართალია, ფერმის წვრილმანი საქმეების ცოდნის დეტალია, მაგრამ იმასაც მოწმობს, რომ რაიონის ხელმძღვანელი ცდილობს დღენიადაგ ფლობდეს მეცხოველეობაში შექმნილ სიტუაციას, ურომლისოდაც დარგის მართვა შეუძლებელია.

წარმოების ყველა პირობის ზუსტი ცოდნა, დარგის ეკონომიკურ კლმატში გარკვევა მას გაბედულ მოქმედებას, კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღებას უადვილებს, ეხმარება ვაქცაცურად გასწიოს რისკი, რაც ყოველთვის თან ახლავს გარდამავალ პერიოდს, როცა მთელი ძალღონე, სახსრები დასახული მიჯნის მიღწევას ხმარდება.

რისკთან კი არცთუ იშვიათად ჰქონია საქმე გურამ გუნავას, როცა მეცხოველეობის ამა თუ იმ კარდინალური საკითხის გადაწყვეტისადმი მიდგომაში რაღაც ახალს, უფრო რაციონალურს ეძებდა. მაგალითად, ორისამი წლის წინათ საჭიმშანად მიიჩნდათ აბაშის რაიონში ადგილზე ჯოგის ჩასაყენებელი დეკეულების გამიზნული გამოზრდა საკუთარი ნახირის გამრავლების უზრუნველსაყოფად. ამიტომ სანაშენე დიდპროდუქტიული მოზარდეულის მნიშვნელოვანი ნაწილი რესუბლიკის გარედან შემოჰყავდათ. ივიწყებდნენ, რომ ამგვარი პირუტყვი, ჯერ ერთი, ბევრს იწველის მხოლოდ იმ მეურნეობებში, სადაც თითოეულს წელიწადში სულ ცოტა 50 ცენტნერ საკვებ ერთეულს (დაახლოებით 8 ტონა თივას, ან 14 ტონა სენაჟს, ან 20 ტონა სილოსს) მოუმარაგებენ. მეორეც შემოყვანილი საქონელი ადგილობრივ პირობებს ყოველთვის როდი ეგუება; ამიტომ, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო ჯიშისათვის დამახასიათებელ პროდუქტიულობას ვერ აკლენს და მალე სახორცედ აბარებენ ხოლმე... მიუხედავად ამისა, ამ პრაქტიკაზე ხელს აღება ბევრს მაინც არ სურდა. ვინც ამას მოიმქმედებდა, გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა ეკისრა დარგის ხვალინდელი დღისათვის.

იმათ შორის, ვინც ამ პასუხისმგებლობას თავი არ აარიდა, ერთ-ერთი პირველთაგანი გურამ გუნავა იყო. მათი აზრით, მწირი ბუნებრივი საკვარგულების მქონე აბაშის რაიონის ფერმებში ნახირის პროდუქტიულობის პოტენციალის მატებისათვის უპირიანია უპირატესობა მიენიჭოს ჯიშიანი ხბორების ადგილზე გამოზრდას და კვების გაუმჯობესებას.

ამ თვალსაზრისის პრაქტიკული განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა გამოდგა. ახლა რაიონში პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის მხოლოდ ადგილობრივ რეზერვებს იყენებენ, რითაც დიდძალი თანხა იზოგება და ეკონომიკური ეფექტის მიღების დროც მოკლდება.

ეს საქმე კარგად არის დაყენებული ნაესაკაოს საბჭოთა მეურნეობაში. აქ მოზარდეულის მოვლა-პატრონობა დაკისრებული აქვთ ეუჟუნა გუგუშვილს, გოგი დიხამინჯიას და მაგული მიგინეიშვილს.

ამ სამეულდან, რომელიც წელიწადში 100-ზე მეტ ხბოს ზრდის და გაწყდომის არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია, ეუჟუნას რაიონში იცნობენ, როგორც ჩინებულ მეცხოველეს, ამბობენ — ხბორებისთვის რძე შინიდან მიაქვსო.

ცხადია, იმის გარკვევა არ დაგვიწყია, თუ ამ ხუმრობაში რამდენი სიმართლეა, მაგრამ იმაში კი დავრწმუნდით, რომ ფერმის ამ ოსტატისა და საქმის ერთგული ადამიანის სამუშაო ადგილზე სანიმუშო წესრიგია. თითოეული ხბოს გამოსაკვებად საგეგმოსთან შედარებით 50 კილოგრამით ნაკლები რძე იხარჯება. თანაც პირუტყვი საგულდაგულოდ არის მოვლილი. ინტენსიური კვების მეთხებით მიღწეულია ხბორების ყველზე დიდი წონამატება — დღე-ღამეში 850 გრამი, რაც საგეგმოს 500 გრამით აღემატება.

— როგორ აღწევთ ამ წარმატებას? — ვეკითხებით ეუჟუნა გუგუშვილს.

— უწინარესად, იმის წყალობით, რომ ყოველმხრივი ხელშეწყობა გვაქვს როგორც მეურნეობის, ისე რაიონის ხელმძღვანელობისაგან. ჩვენი მხრივ კი ვცდილობთ, მოზარდეულს გულისყური არ მოვაკლოთ. თუ საჭიროა, მათი მკურნალებიც ვართ, ნემსსაც გაკეთებასაც ვახერხებთ. ფერმაში ეს უბანი ყველაზე ძნელია, რადგან ხბორები ჩვილი ბავშვებივით სათუთები არიან, და თუ ვერ გავუგეთ, ისე არაფერი გამოვა.

ამ სათუთ საქმეს ახლა რაიონში თითქმის ყველა ფერმამ მოჰკიდა ხელი. აქ წელიწადში 2400-2500 ხბო იზრდება, რომლის ნახევარს სანაშენედ იყენებენ. რაიონი ჯიშიანი დეკეულებით თავისი ფერმების მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, გაისად კი სხვა რაიონებსაც გაუმართავს ხელს. აქ ნიშანდობლივი ის არის, რომ მეურნეობებში ნახირის საჯიშე თესლებების გაუმჯობესებისათვის მხოლოდ ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, ფერმის ბაგეები როდი ზრუნავენ, ამ საქმეში აქტიურად არის ჩაბმული მეცხოველეთა დიდი რაზმი.

ჯიშიანი ხბორების გამოზრდამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ისიც, რომ რაიონში ორგანიზებულად და გეგმაზომიერად მიმდინარეობს ინტენსიფიკაციის პროცესი სახორცე მეცხოველეობაში. ამ პროცესის დაჩქარებას ხელი შეუწყო შრომის ორგანიზაციის კოლექტიური და ოჯახური იჯარის მეთოდების დანერგვამ.

იჯარის მეთოდით ნორიოს კოლმეურნეობაში 100 მოზარდეულს უვლის მირიან გვარამიას ოჯახი (თვითონ, მეუღლე, რძალი და შვილი — მერვეკლასელი მოსწავლე). მათ 9 თვეში სახელმწიფოს 180 ცენტნერი ხორცი მიჰყიდეს. ჩაბარებული 2 წლამდე ასაკის საქონლის საშუალო წონა 400 კილოგრამს აღწევს, რისთვისაც იჯარულმა ოჯახმა მარტო ფასდანამატის სახით 24 ათასი მანეთი მიიღო.

სანაკებო საქმეებით გაითქვა სახელი აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს საიჯარო ბრიგადამ, რომელშიც სამი ოჯახის 7 წარმომადგენელია გაერთიანებული. ისინი 400 სულ მოზარდეულს მოვლა-პატრონობის ისეთ რეჟიმს უქმნიან, რომ ჯერჯერობით პირუტყვი არ გაწყდომიათ. სადღეღამისო წონამატების მაჩვენებელი საგეგმოზე გაცილებით უკეთესია. თანაც გათვალისწინებული 12,8 საკვები ერთეულის ნაცვლად ცენტნერი ხორცის მისაღებად მხოლოდ 7,4 საკვები ერთეულია დახარჯული. ამ დანაზოგის, ისევე როგორც მედიკამენტების, მიმდინარე რემონტის, ინვენტარის შეძენის, ელექტროენერგიის, ავტოტრანსპორტის მომსახურების და სხვა მატერიალური დანახარჯების ეკონომიის 70 პროცენტი მოიჯარეებს ეძლევათ.

ამ ბრიგადაში გაწეული შრომისა და მისი ანაზღაურების კავშირი კიდევ უფრო უშუალო გახდება და მეცხოველეობის გარჯის საბოლოო მიზანი მკაფიოდ გამოიკვეთება გაისად, როცა თვითდაფინანსების მეთოდით იმუშავებენ.

— ჩვენ თვითდაფინანსებისათვის უკვე მზად ვართ, — გვითხრა ბრიგადირმა ნიაზ ტყეებუჩავამ, — მე, მაგალითად, ვაპირებ საკვები ტრანსპორტით თვითონ მივზიდო ფერმაში, რითაც ხარჯები ბრიგადას დარჩება და გარეშეს არ დაერიცხება. ზოოვეტმომსახურებასაც ბრიგადის წევრი ქალები აპირებენ, ამისათვის კიდევაც ემზადებიან. დანაზოგს დანაზოგს მივუმატებთ იმითაც, რომ ფერმის პატარ-პატარა საერემონტო საქმესაც თვითონ გავართმევთ თავს.

თვითანაზღაურების და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობისათვის ბევრი რამ გაკეთდა პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში, სადაც საიჯარო ბრიგადის შექმნამდე 25 კაცი იყო დასაქმებული, ახლა კი იმავე მოცულობის სამუშაოებს (აქ 574 სული საქონელი ჰყავთ) 14 მოიჯარე ასრულებს. მუშახელის შემცირება ერთდროულად არ მომხდარა. ძალდატანებითაც არავინ გაუშვიათ. ზოგი პენსიაში გავიდა, ზოგმა სხვა სამუშაო არჩია, ზოგიც ოჯახური პირობების გამო, საერთოდ, კოლმეურნეობიდან წავიდა. ვაკანტურ ადგილებზე არავინ მიუღიათ, საიჯარო ბრიგადის წევრს შეუთავსეს. იმ თანამდებობაზე კი, რომელიც საჭირო იყო, თავიანთი კაცი დაწინაურეს. ასე რომ, შემცირებაში მოჰყვა არა ადამიანი, არამედ თანამდებობა.

მუშახელის შემცირებით შრომის ნაყოფიერება არ დაქვეითებულა. პირიქით, მეტი ანაზღაურებით დაინტერესებულმა ფერმის მუშაკებმა (მწველავის ხელფასმა 120 მანეთით მოიმატა) შარშანდელზე მეტი რძე და ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, პროდუქციის თვითღირებულებაც მნიშვნელოვნად შეამცირეს, სახელმწიფოს მხოლოდ პირველი ხარისხის რძეს აბარებენ. ნახირში არც ერთი ძროხა არა ჰყავთ, ნამატს რომ არ იძლეოდეს.

ამ წარმატებებს ხელი შეუწყო მექანიზაციის ფართო დანერგვამ (ყველა სამუშაო მექანიზებულია), საკვები ბაზის განმტკიცებამ (პირუტყვს მთელი წლის განმავლობაში მწვანე მასა ეძლევა), აგრეთვე იმან, რომ ფერმის მუშაკებს შრომისა და დასვენების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მათ განკარგულებაშია აბანო, წითელი კუთხე, აქვთ საკუთარი დენის წყარო, ფერმაში ტრანსპორტით მიჰყავთ მუშახელი.

შრომის ორგანიზაციითა და ანაზღაურებით კმაყოფილმა 60 წელს მიტანებულმა მწყემსმა სერგო დუნდუამ გვითხრა, პენსიაზე გასვლის შემდეგაც აქ ვაპირებ მუშაობას, როგორც საკუთარი ოჯახისას, ისე ვეკიდებით კოლმეურნეობის საქმესო.

ასე მონდომებით ირჯებიან აბაშის რაიონის მეცხოველეები დარგის ინტენსიფიკაციისათვის. წლითიწლობით აფართოებენ საკვების მინდორს გამოუყენებელი მიწის ხარჯზე. მაგალითად, დაშრობილი მიწების ათასეულის დაჩქარებით მრავალწლოვანი ბალახების ნათესმა 800 ჰექტარით მოიმატა. ბევრად გაფართოვდა სასილოსე სიმინდის ყანა. ეს დარგის სპეციფიკამ მოითხოვა. ამასთან დაკავშირებით ისიც მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტად გამახვილდა ყურადღება ხარისხზე. სასილოსე მასის აღება ხდება მაშინ, როცა ტარო ჭყინტია. ამით იზრდება თითოეული ჰექტარიდან საკვები ერთეულის გამოსავალი. დასილოსების დროს კი მწვანე მასა ქიმიური კონსერვატებით მუშავდება. სხვადასხვა მინერალით მდიდრდება აგრეთვე სენაჟი. ფურაჟის ყუათიანობის მოსამატებლად მარჯვედ იყენებენ საკვების საამქროს.

ყოველივე ეს უდევს საფუძვლად იმას, რომ აბაშელმა მეცხოველეებმა სამერმისო მიჯნების დასახვის დროს საკმაო გამბედაობა გამოიჩინეს. მათ გადაწყვიტეს გაისად საშუალოდ ძროხაზე 3000 კილოგრამი რძე მიიღონ. ეს რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს 1200 კილოგრამით აღემატება და შესაბამის საკავშირო დონეზეც გაცილებით მეტია.

ეს მიჯნა უკვე განვლილი ეტაპია პირველი მაისის, ტყვირის და ნორიოს კოლმეურნეობების, ძველი აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს და ნაესაკაოს საბჭოთა მეურნეობის ფერმის მუშაკებისათვის, მაგრამ მიღწეული ზოგად არ მიაჩნიათ. დარგში კიდევ საკმაო რეზერვები ეგულებათ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად ესახებათ საუკეთესო შრომითი კოლექტივების გამოცდილების გადმოღება. ანანკლიან იმედს ამყარებენ საკუთარ რეზერვებზე, რადგან ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ საკმარისი იყო გონივრულად გამოიყენებინათ ის, რაც უკვე ჰქონდათ, და შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებინათ საქმის მდგომარეობა.

ერთი სიტყვით, გაკეთდა და კიდევ ბევრი რამ კეთდება, მაგრამ მოწინავე მეურნეობების მიღწევებისა და შესაბამის რაიონულ დონეს შორის განსხვავება ჯერ კიდევ გაუმართლებლად დიდია. მაგალითად, სეფეთელთა შედეგთან შედარებით ყოველი 100 ფურიდან ნამატის მიღების რაიონული მაჩვენებელი 25-ით ნაკლებია, წყელადოშის რაიონული დონე 200-300 კილოგრამით ჩამორჩება ნორიოს, ნაესაკაოს, პირველი მაისის მეურნეობების მაჩვენებლებს და ა. შ. ამგვარი კონტრასტები უფრო თვალში საცემია პროდუქციის თვითღირებულებაში.

ამიტომ კანონზომიერია და გარდაქმნის სულისკვეთებას შეესაბამება პარტიის რაიკომის პირველი მდივნის მტკიცე რწმენა, რომ იმ ნახრის, იმ შენობა-ნაგებობების, რომლებიც აქვთ, გაცილებით მეტი რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების მოცემა შეუძლიათ.

დამაკმაყოფილებელია თუ არა თავისთავად მიღწეული დონე? ოპტიმალურია თუ არა წარმოების სტრუქტურა? რის ფასად ფართოვდება? შესაძლებელია თუ არა წარმოების გაფართოება უახალდანახარჯებოდ?

ამგვარი კითხვები აღელვებთ დღეს აბაშის რაიონის მეცხოველეებს და დღენიადაგ ცდილობენ თითოეულ მათგანს უპასუხონ. რაც უფრო მალე შეძლებენ ამას, მით უფრო მეტ ეფექტს მიიღებენ ფერმის საწარმოო პოტენციალიდან.

Თ. ᲙᲐᲡᲐᲠᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲘᲣᲠᲝ ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ?!

ᲝᲠᲘᲝᲜᲓᲔ წლის წინათ ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ორასაკაციანმა პარტიულმა ორგანიზაციამ საამწყობო უბნის უფროსს გ. მარშანიშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა და პარტბიუროს მდივნად აირჩია. საწარმოს კარგად იცნობს, გამოცდილებაც აქვს, მისი მდივნობა საქმეს სასიკეთოდ დაიჩნდებაო, ფიქრობდნენ.

ამ ქარხანაში დამზადებული პროდუქცია — ელექტროკარები საქვეყნო არის ცხობილი. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოდ იგზავნება. ცხადია, ეს განუზომლად ზრდის ქარხნის ხელმძღვანელობისა და მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობას. მოსალოდნელი იყო, რომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, მართვისა და საწარმოს მოდერნიზაციის ღონისძიებებს ელექტრომექანიკოსები წარმატებით განახორციელებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. ქარხნის ხელმძღვანელობა, რაკი დასახულ ამოცანას თავი ვერ გაართვა, თვალის ახვევისა და წამატებათა გზას დაადგა. საწარმო ურიტმოდ მუშაობდა, ყოველთვიური გეგმის 60-70 პროცენტი ძირითადად მესამე დეკადაში სრულდებოდა. ასეთი იერიშობანა კი, ცხადია, საგრძნობლად აფერხებდა წინსვლას. მთლიანი პროდუქციის წარმოების ათი თვის გეგმაც 79,8 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციისა — 92,6 პროცენტით. დაირღვა სახელშეკრულებო ვალდებულებებიც. ყოველივე ამის გამო ქარხანა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

სწორედ ეს ნეგატიური მოვლენები გახდა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მკაცრი მსჯელობის საგანი. არ ჰგავდა ის კრება ადრინდელ კრებებს. არც გამომსვლელთა ტონი იყო საზეიმო. კომუნისტებმა საქმიანად იმსჯელეს, გულახდილად თქვეს, რაც კარგა ხანია აწუხებდათ. კრებაზე წარმოჩნდა, რომ ქარხანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა კომუნისტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მანამდეც კარგად იცოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. ისინი იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ პარტბიუროო არ იჩენდა სათანადო პრინციპულობას, ჯეროვნად არ იყენებდა ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობის პარტიული კონტროლის უფლებას და სხვა, მაგრამ კვლავ პასიურობდნენ, იმედოვნებდნენ რომ ყველაფერს გზადაგზა გამოასწორებდნენ. ასე ემატებოდა ერთ შეცდომას მეორე.

თუმცა, უმჯობესია მოვუსმინოთ თვით კრების მონაწილეებს.

ცუდი მდგომარეობა, თქვა ელექტრიკოსმა ვლ. სმირნოვმა, მნიშვნელოვანწილად განპირობა ქარხნის ხელმძღვანელობისა და პარტბიუროს სუსტება და, არ გადავაჭარბებ, უპასუხისმგებლო მუშაობამ. ჩვენს ქარხანაში პარტიული კრება ვერ გადაიქცა აღზრდისა და კომუნისტური წრთობის სკოლად. ბევრ კომუნისტს, მათ შორის ხელმძღვანელებსაც, გულთან არ მიჰქონდა ქარხნის სატკივარი. კრებებზე ფორმალურად განვიხილავდით საკითხებს, სამი-ოთხი გამომსვლელის შემდეგ შემოდიოდა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. არადა, მთავარი თითქმის მუდამ უთქმელი და გაუკეთებელი გვრჩებოდა. ასე ვიშვებოდით ფორმალიზმის ტყვეობაში, ასეთ ვითარებაში, აბა, რომელ გარდაქმნაზე შეიძლებოდა ლაპარაკი?! ქარხანაში ირღვეოდა შრომის და საწარმოო დისციპლინა, მაგრამ ამას მუდამ როდი მოჰყვებოდა სათანადო რეაგირება. მშრომელთა დაინტერესებას საგრძნობლად ასუსტებდა ის, რომ ჩვენთან არ აღრიცხავდნენ ყველა შესრულებულ სამუშაოს. ეს კი დაუშვებელია: მუშას რატომ უნდა დააკლონ თავისი შრომის საფასური? წინასწარ არ ვიცით შესასრულებელი სამუშაო, არ გვაქვს კონკრეტული დავალება, ფორმალურია სოციალისტური შეჯიბრება. ბევრჯერ ვცადეთ წამოეწიოთ მტკივნეული საკითხების განსასჯელად შეეხვედროდით ქარხნის მთავარ ინჟინერს, პარტბიუროს მდივანს, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს, მაგრამ — ამაოდ. როცა კომუნისტები დავინტერესდით და ვიკითხეთ, თუ რამ გამოიწვია ქარხნის ჩამორჩენა, ვისი მიზეზით მოხდა წამატებანი და სხვა დარღვევები, პარტორგანიზაციის მდივანმა უხეშად გვიპასუხა — ეს თქვენი საქმე არ არისო. აბა, ვისი საქმეა? ასე გამოვუმუშავებთ ადამიანებს ბატონ-პატრონის გრძნობას? და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გ. მარშანიშვილი პარტბიუროს მდივნად არჩევის შემდეგ მოსწყდა კოლექტივს, არ გვიგიდია ყურს, მხარში არ ედგა კადრებს. თანადგომის ნაცვლად მისი მუშაობის სტილი იყო დასჯა. სამწუხაროდ, პარტბიუროს სხვა წევრებიც არ არიან მართალნი. ისინი ხმას არ იმაღლებდნენ ქარხანაში არსებული მდგომარეობის გამო, არ უფრთხილდებოდნენ საწარმოს ღირსებას...

ვფიქრობთ, მუშაკაცის ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. მით უფრო, რომ ეს ვისიმე მოქმედებით განაწყენებული კაცის ნთქვამი კი არა, ხანგრძლივად ნაფიქრალი, საერთო საქმის გულშემატკივარი კაცის გულისნადებია, მშრომელი კაცისა, რომელიც ვერ შეჭვეებია უპასუხისმგებლობას და გულგრილობას, წუნსა და რუტინას.

ესეც კია, კრებაზე ვლ. სმირნოვის გამოსვლა გამონაკლისი არ ყოფილა. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ პარტბიუროო ვერ ასრულებდა კოლექტივის ჭეშმარიტი წინამძღოლისა და დამრახმეელის როლს, ფეხს ვერ უწყობდა გარდაქმნას. პირიქით, იგი სულ უფრო თმობდა პოზიციებს, მკაცრად არ ებრძოდა წუნისმკეთებლებს, სამუშაო დროის მფლანგველებს, ნაკლები ყურადღება ექცეოდა სპეციალისტთა ატესტაციასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, არ ეწყობოდა საწარმოში არსებული ფიზიკურად და მორალურად მოძველებული დანადგარების საგეგმო რემონტი, მათ მხოლოდ მაშინ არემონტებდნენ, როცა საერთოდ გაჩერდებოდა და სხვ.

და რაც ყველაზე ცუდია, თქვეს კრების მონაწილეებმა, პარტბიუროო და დირექცია ქარხნის კოლექტივს არ აცნობდნენ საქმის ვითარებას, ისინი კომუნისტებთან და მშრომელებთან ერთად კი არ სახავდნენ სამომავლო გეგმებს, არამედ, პირიქით, მათგან დაფარულად მოქმედებდნენ. მუშაობის ასეთი სტილით კი ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობა, ცხადია, კარგავდა მშრომელთა ნდობას, ხალხს გული უტყდებოდა, საგრძნობლად ქვეითდებოდა პარტორგანიზაციის მებრძოლურობა. ამასთანავე პარტბიუროო ვერ ფლობდა მდგომარეობას, ვერ ასრულებდა თავის მთავარ მოვალეობას, თვითდინებაზე იყო მიშვებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა..

— პარტბიუროო არ ისმენდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშს, — თქვა ბრიგადირმა მ. ტრიგუბოვმა, — არ იხილავდა ხარისხის, შრომის ორგანიზაციის, ეკონომიკის საკითხებს. იგი ვერ ახერხებდა მასების აქტიურობის ამაღლებას, სათანადოდ არ ზრუნავდა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების მოგვარებისათვის. ქარხანაში ცუდად მუშაობს ვაობობის სისტემა და ვენტილაცია, მინები ბევრგან ჩამტვრეულია, პარტბიუროო კი ისე პასიურობს თითქოს ამ საკითხების მოგვარება მას სულაც არ ეხებოდეს. უკეთესი მდგომარეობა არც ქარხნის მიკრორაიონშია. გზა ცუდი გვაქვს. რამდენიმე საცხოვრებელ სახლში გათბობა არ არის, არც ტრანსპორტის მუშაობით ვართ კმაყოფილი. ეს საკითხები კომუნისტებმა კრებაზე ბევრჯერ წამოჭრეს, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

უფროსი ოსტატი თ. ბოქაძე, ბრიგადირი გ. მელუა, ხანალხო კონტროლის მეუფეობის ჯგუფის თავმჯდომარე ა. ბერიშვილი და სხვები შეეხნენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც. კერძოდ, ითქვა, რომ გაიზარდა ყაჩაღების დანადობა. ამის მიზეზი კი ისიც არის, რომ კოლექტივის თითქმის მეოთხედს არ აქვს ბინა, 1980 წლის შემდეგ საცხოვრებელი სახლი არ აშენებულა. ნაალოვანებებია მართვის სტრუქტურაში, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებაში.

— პირველი იანვრიდან ქარხანა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეს. ვართ კი საამისოდ მზად? გაკოტრება ხომ არ გველოდება? — იკითხეს კრების მონაწილეებმა. და ეს კითხვა სულაც არ იყო რიტორიკული. ამიტომაც, თქვეს მათ, არ შეიძლება მუშაობის ასე გაგრძელება, საჭიროა რადიკალური ღონისძიებების განხორციელება. კომუნისტებმა პარტბიუროს შემადგენლობის მთლიანად შეცვლა მოითხოვეს. პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ, თავის მხრივ, მკაცრად შეაფასა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა და რადიკალური ღონისძიებებიც განახორციელა: დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქარხნის დირექტორი, პარტბიუროს მდივანი, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, მათ დაედოთ პარტიული სასჯელებიც..

კრებამ ბევრი საფიქრალი და სამსჯელო დატოვა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ადამიანს ის უბანი უნდა მივანდოთ, რომელიც მისი მოწოდებაა, იმ უღელში უნდა შევადაოთ, რომელსაც მოერევა და გასწევს. ყოველ ხელმძღვანელს ადამიანთა კოლექტივის მეთაურისათვის აუცილებელი ყველა თვისება უნდა ჰქონდეს. ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ყოფილ დირექტორსა და ყოფილ პარტბიუროს მდივანს „რაღაც“ მონაცემები კი ჰქონდათ, მაგრამ ის „რაღაც“ არ გამოდგა საკმარისი იმისათვის, რომ ასეთი დიდი საწარმო ახლებურად ემართათ.

ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა ახლა საქალაქო პარტორგანიზაციის საერთო საფიქრალი და საზრუნავია. საწარმომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული სახელი და ისევ ჩადგეს მოწინავეთა მწყობრში. საამისოდ უკვე გადაიდგა ნაბიჯი. განახლდა ქარხნის ხელმძღვანელობა და პარტბიუროო. შემუშავდა ღონისძიებების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საწარმოში რადიკალურ გარდაქმნებს. საჭიროა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება არ მოაკლოს საწარმოს ახალ ხელმძღვანელობასა და პარტორგანიზაციას, ეს კი საგრძნობლად დაეხმარება იქაურ მშრომელებს მუშაობის გაუმჯობესება-გარდაქმნაში.

Მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ კახათის მშრომელთა წარმატებების ამბავი საქვეყნოდ არის ცნობილი. კოლმეურნეობაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ჯოტო გუგუჩია უდგას სათავეში, ყველა პირობაა შექმნილი შრომისა და დასვენებისათვის. სოციალური საკითხების მოგვარება სოფლის ხელმძღვანელთა ყოველდღიური ზრუნვის საგანია. მშრომელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, სტადიონი, იპოდრომი, მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, იპოდრომთან კარგა ხანია საცხენოსნო სპორტული სკოლა მუშაობს. აქ განსაკუთრებით პოპულარულია ეროვნული სახეობების საცხენოსნო სპორტი. კახათელი ცხენოსნები სისტემატურად ასპარეზობენ რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ᲙᲐᲠᲘᲛᲘᲡᲘᲜ გადაიღო, ალბენდილია კახათელ ცხენოსანთა გუნდის კაპიტანი, ქვის მთლელი შუქრი ᲒᲐᲑᲘᲡᲙᲘᲠᲘᲐ.

ᲜᲣ ᲕᲐᲠᲦᲕᲔᲕᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მომავალი წლის იანვარში გაიმართება, სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, თუ როგორ ვიცავთ სახელმეკრულებო დისციპლინას. ეს თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის აუცილებელი პირობაა.

როგორც რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, მიმდინარე წლის თერთმეტი თვის მანძილზე პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებამ მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 98,3 პროცენტი შეადგინა.

რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მიწოდების ვალდებულება მხოლოდ 95 პროცენტით შეასრულა და მომხმარებელს დააკლო 8369 ათასი მანეთი. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ეს მაჩვენებელი 98 პროცენტით შეასრულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემკვეთმა ვერ მიიღო 28.207 ათასი მანეთის ნაწარმი. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დაბალი მაჩვენებლები აქვთ „საქთევზმეურნეობის“ სამმართველოს, თბილისის „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებას, თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას, „საქთევზმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებას, ინსეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას, თბილისის — საქსოფლმანქანის“ ქარხანას, თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას, რომლებმაც გეგმები შესაბამისად 94,1, 92,4, 80,5, 80,4, 91,3, 85,5, 87,9 პროცენტით შეასრულეს.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მომხმარებელს 8846 ათასი მანეთის, ხოლო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ მრავალი ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს. მხოლოდ 98 პროცენტით შეასრულა პროდუქციის მიწოდების თერთმეტი თვის გეგმა რუსთავის მეტალურგიულმა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ქარხნის იუბილეს — შრომითი ნოგათები

სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მეთაურ ქარხანას ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. 50 წლის წინათან სახელოსნოების ბაზაზე შეიქმნა სატელეგრაფო ქარხანა, რომელიც გადამცემი სატელეგრაფო აპარატურის გამოშვებას შეუდგა. აქ, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანაში პირველად დაიწყეს საბეჭდი აპარატურის დამზადება, მანამდე კი ძვირადღირებული პროდუქცია უცხოეთიდან შემოაქონდათ. საწარმო თანდათან იზრდებოდა და იხვეჭდა სახელს, 1951 წელს ახალი საწარმოო კორპუსები აშენდა აკაკი წერეთლის პროსპექტზე. აქ ხორცი შეისხა ინაერთმა მეცნიერულმა იდეამ და პროგრესულმა წამოწყებამ. დღეს ქარხნის პროდუქციას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში ნახავთ, ნაწილი კი საექსპორტოდ მზადდება.

1966 წლიდან გაერთიანება გადავიდა სამეურნეო მექანიზმის მართვის ახალ მეთოდებზე, თუ რამდენად გაამართლა ამ სიახლემ, ამაზე წლევანდელი მიღწეული მაჩვენებლებიც მეტყველებს: 11 თვის განმავლობაში სსსაერთო პროდუქციის გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით, გაიზარდა ხვედრითი წილი უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში.

▼▼

ახლა კი ჩვენი რუბრიკის მკითხველთა ერთ რეპლიკას გთავაზობთ.

ქალაქ თბილისის ვაზისუბნის დასახლებისა და ჯავახეთის ქუჩის მცხოვრებთა სახელით რედაქციას დაუკავშირდნენ მოქალაქეები თ. ჩუბინიძე, მ. ფანქველაშვილი, მ. დონაძე და თავიანთი გასაჭირი აცნობეს. კითხვაზე, რაღა მაინცდამაინც ამ რუბრიკას მიმართეს, მათ არცთუ უორონოდ უპასუხეს. შეგიძლიათ, რეპლიკას სათაურად მისცეთო

გუშინაც ისე, როგორც ყოველდღე

პიკის საათებში ავტომანქანები უსაშველოდ იყო ჩახერგილი და სრული განუკითხაობა იყო გზაჯვარედინზე, სადაც ჯავახეთის ქუჩას ვაზისუბნის დასახლებისა და მესამე მასივისაკენ მიმავალი ქუჩები კვეთენ.

თუმცა ამ ადგილას შუქნიშანია, იგი საქმეს ოდნავადაც ვერ შველის. ერთი-ორჯერ გზაჯვარედინს ავტოინსპექტორებმაც მოაკითხეს, მაგრამ თვითდინებაზე მიშვებული ტრანსპორტის მოძრაობა დიდხანს მთაც ვერ მოაწესრიგეს და, ეტყობა, გული გიტეხეს; ამ ბოლო ხანს აღარ გამოჩენილან.

თუ ასე გაგრძელდა, უბედური შემთხვევებისაგანაც არ ვართ დაზღვეულნი — შენიშნავენ შუფოთებული მოქალაქენი.

მაინც რა ხდება ასეთი უსაშველო?

მთავარი მიზეზი, უთუოდ, ის არის, რომ ამ გზაჯვარედინს ახლო-მახლო ქუჩები ლამის მთელი წელია სამარ ტრანშეებს ჰგავს, აქაოდა, მიწისქვეშა კომუნიკაციებს ცვლიანო და მთელი ტრანსპორტი ამის გამო ერთ ადგილს მიაწყდა. ამასთან სამარშრუტო ავტობუსები აშკარად უგულებელყოფენ მოძრაობის წესების მოთხოვნებს და ხერგავენ ისედაც გადატვირთულ გზაჯვარედინს.

ყოველ საღამოს ამგვარი აურზაურია მტროს სადგურ „ვარკეთილთან“ მიმდებარე ტერიტორიაზეც, პატრონი კი არა ჩანს.

როდემდე?

ნუთუ უბედურება უნდა დატრიალდეს, რომ საქმეს გულშემატკივარი გამოუჩნდეს!

▼▼

ახალი პროდუქცია

ბაბრის სწრაფ-გაყინული პროდუქტების ქარხანაში დაამტკიცეს რამდენიმე სახეობის ახალი პროდუქციის გამოშვება. სიახლეთა შორის არის ბლინები, აფხაზური რეცეპტით დამზადებული კუპატი და სხვა.

ყველა ეს პროდუქტი დამზადდება თანამედროვე ტექნოლოგიისა და სამეცნიერო რეკომენდაციების საფუძველზე.

ამჟამად ქარხანაში პარალელურად მიმდინარეობს რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელთა დამთავრების შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება პროდუქციის გამლილობა. ქარხანას საშუალება ექნება მუშაობის ცელანახევრიან სისტემაზე გადავიდეს.

ახალი სიტყვა მსოფლიო ლიტერატურაში

ჯონ რიდი — პოეტი რევოლუციის



„...წითელი მოედანი, სადაც განისვენებს ჯონ რიდი — პოეტი რევოლუციის, დელეგატი III ინტერნაციონალის, რომელთანაც ერთად განვიცადე რევოლუცია“...

გალაკტიონი.

ამერიკელი მწერალი-პუბლიცისტი, ამერიკის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ჯონ რიდი დაკრძალულია ქ. მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის გალავანთან.

საიდან სადო, რა ბედმა, ისტორიის რა ქარბორბალამ გადმოისროლა დასავლეთის შორეული ქვეყნის მწერალი რუსეთში და როგორ პოვა მან სამუდამო განსასვენებელი ჩვენი ქვეყნის მიწაწყალზე, გამოჩენილ რევოლუციონერთა შორის?

ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, თხრობა ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ამერიკაში, წყნარი ოკეანის ნაპირას, ორეგონის შტატის ქ. პორტლენდში ასი წლის წინათ, 1887 წელს დაიბადა ჯონ რიდი — მომავალი მწერალი-პუბლიცისტი, რევოლუციონერი, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ავტორი არაერთი საქვეყნოდ გახმაურებული წიგნისა.

ჯონ რიდის მშობლიური ქალაქის პორტლენდის მუშებმა პირველებმა თქვეს უარი კოლჩაკის არმიისათვის სამხედრო აღჭურვილობით სავსე გემების დატვირთვაზე.

ჯონ რიდის მამა — ფედერალური სამმართველოს აღმასრულებელი, მოწინავე კლუბის ლიდერი, უაღრესად პროგრესული კაცი ყოფილა, ამერიკელი მწერლის ალბერტ ვილიამსის თქმით, „ჯონ რიდს მამამ მშვენიერი შემკვიდრეობა დაუტოვა — მეომრის სისხლი, დიდი ქკუა და თამამი, ვაჟკაცური სული“.

ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეს დაუდგრომელი და შეუპოვარი ჭაბუკი ერთხანს ევროპაში მოგზაურობს, ეცნობა ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის პროგრესულ ადამიანებს, მუშათა რევოლუციური მოძრაობის მამდინარეობას, დაქრის ომისა და რევოლუციის ხანძარმოდებულ ევროპაში ფრონტიდან ფრონტზე, ოპერატიულად აწვდის საინტერესო მასალას ამერიკის პერიოდულ პრესას.

ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნებული ჯონ რიდი ერთხანს ნიუ-იორკში მკვიდრდება და ღრმად სწავლობს ამ უზარმაზარი ქალაქის ცხოვრებას, ნიუ-იორკში ყოფნისას მან გამოიქვეყნა რამდენიმე მოთხრობა: „რევოლუციის ასული“, „ღამე ბროდვეიზე“, „ხედავდე, ნაშნავს გზამდეს“, „მაკი ამერიკელი“ ამ ბოლო მოთხრობაში ასახულია ამერიკული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სურათები — რასისტების მიერ ზანგების მხეცური ჩაგვრა.

1913 წელს პატერსონში აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები გაიფიცნენ. ჯონ რიდმა ამბოხებულ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადა, დადგა მათ გვერდით ბარიკადებზე. თავის წერილებსა და ნარკვევებში, რომლებსაც ამერიკის ჟურნალ-გაზეთებს უგზავნიდა, ჯონ რიდი აშკარად მუშათა მხარეზე იყო. მალე ამერიკაში გამოვიდა ჯონ რიდის წიგნი „ომი პატერსონში“.

პატერსონშივე გაიცნო ჯონ რიდმა რუსი რევოლუციონერი ემიგრანტები, რომელთა შორის განსაკუთრებით დაუმეგობრდა ბილ შატოვს. 1917 წლის მაისში ჯონ რიდმა ბილ შატოვი და სხვა რუსი ემიგრანტები გამოაცილა რუსეთში.

მკვლევრის აზრით, სწორედ მაშინ ჩაესახა ჯონ რიდს რუსეთში გამგზავრების იდეა, რომელიც მალე პრაქტიკულად განახორციელა.

როგორც კი ჩაცხრა პატერსონში მუშათა გაფიცვა, იმავე წელს მექსიკაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა, 26 წლის ჯონ რიდი მაშინვე მექსიკაში გაჩნდა გაზეთ „უორლდის“ კორესპონდენტად.

ოთხი თვის განმავლობაში, — წერს ჯონ რიდი, — მე ცხენდაცხენ ასობით მილი გავიარე მზით გადაბუგულ უდაბნოში. მიწაზე მეძინა ჯარისკაცებთან ერთად, მთელი დღე ცხენზე ჯდომით დაღლილი, ღამეებს ვათენებდი მათთან ერთად... მე ყველგან მათთან ვიყავი ბრძოლაშიც და დასვენების დროსაც. იქნება ჩემი ცხოვრების სწორედ ამ პერიოდმა მომანიჭა ყველაზე მეტი კმაყოფილება.

ჯონ რიდმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პუბლიცისტმა, შეძლო მექსიკის რევოლუციის ბელადების პანჩო ვილას და ორგეტის საბრძოლო ცხოვრების აღწერა. ამაღლებული ენა, ბრძოლის ალი, ადამიანური ბედნიერებისა და ადამიანური ტანჯვა-ვაებულობის ამაღლებული ფერადოვნება, ავტორი არაერთი საქვეყნოდ გახმაურებული წიგნისა.

ჯონ რიდის მშობლიური ქალაქის პორტლენდის მუშებმა პირველებმა თქვეს უარი კოლჩაკის არმიისათვის სამხედრო აღჭურვილობით სავსე გემების დატვირთვაზე.

ჯონ რიდის მამა — ფედერალური სამმართველოს აღმასრულებელი, მოწინავე კლუბის ლიდერი, უაღრესად პროგრესული კაცი ყოფილა, ამერიკელი მწერლის ალბერტ ვილიამსის თქმით, „ჯონ რიდს მამამ მშვენიერი შემკვიდრეობა დაუტოვა — მეომრის სისხლი, დიდი ქკუა და თამამი, ვაჟკაცური სული“.

ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეს დაუდგრომელი და შეუპოვარი ჭაბუკი ერთხანს ევროპაში მოგზაურობს, ეცნობა ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის პროგრესულ ადამიანებს, მუშათა რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობას, დაქრის ომისა და რევოლუციის ხანძარმოდებულ ევროპაში ფრონტიდან ფრონტზე, ოპერატიულად აწვდის საინტერესო მასალას ამერიკის პერიოდულ პრესას.

ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნებული ჯონ რიდი ერთხანს ნიუ-იორკში მკვიდრდება და ღრმად სწავლობს ამ უზარმაზარი ქალაქის ცხოვრებას, ნიუ-იორკში ყოფნისას მან გამოიქვეყნა რამდენიმე მოთხრობა: „რევოლუციის ასული“, „ღამე ბროდვეიზე“, „ხედავდე, ნაშნავს გზამდეს“, „მაკი ამერიკელი“ ამ ბოლო მოთხრობაში ასახულია ამერიკული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სურათები — რასისტების მიერ ზანგების მხეცური ჩაგვრა.

„უკანასკნელ ათ წელს, — წერს ჯონ რიდი, — მე მოვიარე მთელი დედამიწა, ხარბად ვლებულობდი ახალ შთაბეჭდილებებს, ვიბრძოდი და მაყვარდა, ვაკვირდებოდი და ყურს ვუგდებდი ფაქტებს, ვმოგზაურობდი მთელ ევროპაში აღმოსავლეთის საზღვრამდე... ბევრი რამ გადამხდა თავს, ვნახე დახოცილთა გვამები, განადგურებული არმიები... მე სანგრებში გავიგე, რა არის ომი...“.

ომის ფრონტებიდან დაბრუნებული ჯონ რიდი პრესის ფურცლებზე და ზეპირ გამოსვლებში განაგრძობს იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო აგიტაციას.

მიაღწია თუ არა ამერიკამდე ხმამ, რუსეთში მეფე ჩამოგდებესო, ჯონ რიდი მაშინვე რუსეთისაკენ გამოეშურა ამერიკული ჟურნალის „მასების“ კორესპონდენტად. და აქ დარჩა, სანამ რევოლუციის ქარიშხალი არ მინელდა. რუსეთის რევოლუციაში მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილების შედეგია უკვდავი წიგნი „10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“,

ჯონ რიდის წიგნი არის შთაგონებული მოთხრობა პროლეტარულ რევოლუციაზე. კითხულობ მას და თვალწინ ცოცხლდება დაუვიწყარი დღეები, წიგნში მხატვრული სიმართლით არის დასაბუთებული რუსეთის რევოლუციის სიდიადე, მისი ხალხურობა. გასაოცარია, როგორ შეძლო მწერალმა, რუსული ენის უცოდინარმა, ასე დეტალურად და ზუსტად გარკვეულიყო სიტუაციებში, ნელმესაბეგად დაეზატა მოვლენები, ეპიზოდები, ცალკეული პირები.

„10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, არის ოქტომბრის რევოლუციის გადამწყვეტ დღეთა მხატვრული მატიანე. ვ. ი. ლენინი, აღტაცებული ჯონ რიდის ამ წიგნით, წერდა: „უდიდესი ინტერესით და შეუნელებელი ყურადღებით წავიკითხე ჯონ რიდის წიგნი „10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, მე სულით და გულით ვუჩრიან ყველა ქვეყნის მუშებს წაიკითხონ ეს თხზულება“.

ჯონ რიდმა ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მხატვრული სიმართლით დახატული პორტრეტი.

როცა ყველა ჯურის რეაქციონერი ბრალს სდებდა კომუნისტებს სიმკაცრესა და ძალადობაში, თითქოს მათ რევოლუციის დროს ბევრი ადამიანი დაეხოცოთ, ჯონ რიდმა ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა რუსი კომუნისტების დასაცავად, 1918 წელს ეპტონ სინკლერისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ჯონ რიდი წერდა: „ბოლშევიკების რევოლუცია იყო ყველაზე უსისხლო რევოლუცია ისტორიაში, ბოლშევიკები მტკიცედ იდგნენ თავიანთ ეფექტურ გადაწყვეტილებაზე — შეექმნათ პროლეტარიატის დიქტატურა — ისინი არც მკაცრები იყვნენ, არც სისხლმოწყურებულნი. რევოლუციის დროს რუსები, დასავლელი კაცის თვალსაზრისით, აღმოჩნდნენ საოცრად ლმობიერნი და შემწყნარებელნი“.

მწერალმა დიდი ენერგია შეალია იმას, რომ ემხილებინა კომუნისტების მიმართ იმპერიალისტების ცილისმწამებლური კამპანია, ამიტომაც იგი სამართლიანად ითვლება რევოლუციის მემატიანედ, თანამედროვე მსოფლიოში სოციალიზმის, მშვიდობისა და თავისუფლების დიდ პროპაგანდისტად.

ჯონ რიდი მონაწილეობს საბჭოების მეორე ყრილობაზე, სადაც ვ. ი. ლენინი საზეიმო ვითარებაში აცხადებს, უკვე დროა შეკუდგეთ სოციალისტური წყობილების მშენებლობასო, ჯონ რიდი ყრილობის დელეგატებთან — რუს მუშებთან, გლეხებთან და ჯარისკაცებთან ერთად „ინტერნაციონალის“ სიმღერით ეგებება ახალი სამყაროს დაბადებას. ჯონ რიდი იყო კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ავტიურად მონაწილეობდა მის კონგრესებზე.

მას აღმოაჩნდა ფაქტებისა და მოვლენების მხატვრული აღქმის გასაოცარი უნარი. იგი შეულაზარებლად აღწერს ზამთრის სასახლის იერიშს, დროებითი მთავრობის დატყვევებას, საბჭოების ყრილობის პერიპეტიებს, ისტორიულ „ავროროს“ ზალპებს, მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და ნავისპირა ქალაქის მცხოვრებლების განწყობილებას.

ჯონ რიდი კვალდაკვალ მიჰყვება მოვლენების განვითარებას, იგი მემატიანის კეთილსინდისიერებით და სიზუსტით აღნუსხავს ყოველ მნიშვნელოვან ეპიზოდს. მწერალი გასაოცარ გულმოდგინებასა და სიზუსტეს იჩენს ისტორიულ პირთა პორტრეტისა და სულიერი განწყობილების გადმოცემისას.

ურთულეს პირობებში მოუხდა მწერალს რუსეთის რევოლუციისადმი მიძღვნილი წიგნის დაწერა. 1918 წელს, როცა ჯონ რიდი რუსეთიდან ნიუ-იორკში დაბრუნდა, მაშინვე დაჰაატიმრა ფედერალური პოლიციის აგენტმაც, მართალია, იგი დროებით გამოუშვეს, მაგრამ დაიტოვეს ხელნაწერებით სავსე ჩემოდანი. ნახევარ წელზე მეტი ხანი დასჭირდა ამ ქაო

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

სინატიფე. ფ. კრიმსკის ფოტო.

წარმატების საიდუმლო

წარდგენილია „ხუთწლედის მატიანის“ პრემიაზე

ორი წლის წინათ ზუგდიდის ცენტრში ოქტომბრის სახელობის მოედანზე ხუთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა ააგეს. იგი კარგად შეერწყა ქალაქის დაბალსართულიან შენობებს და თავისი იერით მოედნის დომინანტად გვევლინება.

რაციონალურად და შედარებით სადად არის გადაწყვეტილი ამ შენობის კონსტრუქციები, გამოყენებულია უახლესი საშენი მასალები და მშენებლობის მეთოდები.

წელიწადის სხვადასხვა დროსა და დღის მანძილზე მზე ნაირგვარად რომ ანათებს შენობას, შუქ-ჩრდილის მონაცვლეობა ნაირგვარ შეფერილობას, ადრე შეუმჩნეველ ნიუანსებს ამეღვნებს. ამას გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არქიტექტურული დაგეგმარება და საერთო კომპოზიციური სტრუქტურა კარგად ესადაგება შენობის შინაარსს. მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულია სამუშაო ოთახები, ცენტრალურ ნაწილში კი ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საკონცერტო დარბაზი და ფოიე. პრეზიდიუმის ოთახი...

ერთი სიტყვით, აქ ნაყოფიერი შრომის ყველა პირობაა. დღეს ზუგდიდელებს უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ ოქტომბრის მოედანი ამ თანამედროვე არქიტექტურული შენობის გარეშე. საქართველოს არქიტექტორთა კავშირმაც თავის მხრივ, ხუროთმოძღვრების ლევან კილაძისა და ციალა გიორგაძის ნაშუშევარი შეაფასა როგორც შესანიშნავი შენობა, რომელიც საზოგადოებრივი ნაგებობის სრულიად ახალი გადაწყვეტაა, და წარადგინა კიდეც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ მოსაპოვებლად.

პროექტის ავტორთა სახელი ფართოდ არის ცნობილი არქიტექტორთა წრეში.

ციალა გიორგაძე აღიზარდა ცნობილი მშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნესტორ გიორგაძის ოჯახში, რომლის სახელი ოქროს ასოებით არის ნაწერილი მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის მშენებლობის ისტორიაში. ოჯახის ტრადიციების გაგრძელებელია ციალა გიორგაძეც. საქართველოს ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომელს, არქიტექტორ ციალა გიორგაძეს დაპროექტებული აქვს დასასვენებელი სახლი და ტურისტული სასტუმრო ბაკურიანში. საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ლევან კილაძე სათავეში უდგას ვაჭრობის საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის ფილიალს საქართველოში. როცა იგი, საქართველოს ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტურულ სახელოსნოს უძღვებოდა, მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა რესპუბლიკის რამდენიმე სამეცნიერო ცენტრის, გამაჯანსაღებელი კომპლექსების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების პროექტები. 1983 წელს საუკეთესო არქიტექტურული პროექტების საკავშირო დათვალიერებაზე საბავშვო ქალაქ „მზიურის“ პროექტს მიენიჭა ლაურეატის დიპლომი. აქვე, ინსტიტუტში, შეიქმნა ზუგდიდის ადმინისტრაციული შენობის პროექტიც.

რა არის ხუროთმოძღვართა წარმატების საიდუმლო? უპირველესად ის, რომ დაპროექტების დაწყებიდან მშენებლობის დასრულებამდე, არქიტექტორები ც. გიორგაძე და ლ. კილაძე პასუხისმგებლები არიან საბოლოო შედეგისათვის. მათ კარგად ესმით, რომ არქიტექტურა საჭიროა არა მხოლოდ არქიტექტორებისათვის, არამედ ხალხისათვის. ამიტომაც ყოველ წვრილმანს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. და არც ასეთი შენობა გვაქვნებოდა, რომ არქიტექტორებს არ ჰქონოდათ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ყველა თანამშრომლისა და მშენებელი მუშის უდიდესი მხარდაჭერა.

რაზე მუშაობენ ამჟამად არქიტექტორები? ქალბატონი ციალა მუშაობს თბილისის 300-ადგილიანი ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს პროექტზე. ბატონი ლევანი კი ამთავრებს რუსთავის საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრის პროექტზე მუშაობას.

ისევ დაგვრჩენია, ვუსურვოთ ხუროთმოძღვრებს შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები.

ანა მალიუგინა.

მორიგი ტირაჟი

1987 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 48-ე ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება მოგებანი თითოეული 10000, 5000, 2500, 1000, 500, 250 და 100 მანეთის ოდენობით.

10000 მანეთი მოგების მფლობელს უფლება აქვს რიგგარეშე იყიდოს ავტომობილი „ვოლგა“ ან „ჟიგული“, ხოლო 5000 მანეთისას— ავტომობილი „ჟიგული“.

ავტომობილის ღირებულებისა და მოგების თანხის სხვაობა მოგებული ობლიგაციის მფლობელს შეაქვს.

აღნიშნულ სესხის მორიგი ტირაჟი გაიმართება 1988 წლის 15 თებერვალს იაროსლავლში.

1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებული ობლიგაციები, აგრეთვე ამ სესხის ობლიგაციები, რომლებიც უნდა დაიფაროს მათი ნომინალური ღირებულებით, გასანაღდებად წარდგენილი უნდა იყოს 1988 წლის 1 ივლისამდე.

მხატვრის ღიმილი



— რატომ გგონიათ, რომ მმართველი ხელს მოგიწერთ განცხადებაზე, მისი მამიდაშვილი ხართ თუ დეიდაშვილი?

— არა, ქალბატონო, მე შაჭარაშვილი ვარ.

ვ. კუციას ნახატი.

...ამ ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ მან მნიშვნელოვანი სოციალური ზარალი მოგვაყენა. ორი წლის წინათ საჯაროდ გამოაცხადეს, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცა ენინგალის ჰიდროკვანძი, რომელმაც უნდა აღმოფხვრას წყალმომარაგების დეფიციტი რესპუბლიკის დედაქალაქსა და ქალაქ რუსთავში.

რთული ობიექტი, რომელსაც ასე ელოდნენ ამ ქალაქების მცხოვრებლები, როგორც იქნა გადაეცა საექსპლოატაციოდ. მოეწყო საზეიმო გახსნა, ფოტორეპორტიორებმა გადაიღეს წყლის მძლავრი ნაკადი, რომელიც 42-კილომეტრიანი წყალსატარით თბილისის ზღვაში ჩაედინებოდა, მაგრამ გავიდა დრო, და წყალსატარში უწესივრობა წარმოიქმნა, რამაც გამოიწვია ავარია. ამის შედეგები იგრძნეს თბილისის მრავალი რაიონის მცხოვრებლებმა, რომლებსაც დროის მიხედვით კიდევ უფრო შეუკვეცეს გრაფიკით მიწოდებული ისედაც მცირე წყალი. რა მოხდა?

საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგოშენის“ სპეციალისტები შეეცადნენ ამის მიზეზები აეხსნათ ცნობაში, რომელიც გაუგზავნეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს. მასში აღნიშნულია, რომ ავარია მოხდა მთის ქანების წნევის ძალის გამოვლენის, ქანების ცოცვადობის შედეგად, რომელიც გამოწვეულია

მწვავე სიგნალი

განა მარტო ბუნებაა დამნაშავე?

მასივის რთული გეოლოგიური აგებულების პირობებში ბუნებრივი დაძაბულობის განტვირთვით და ა. შ. შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ იმ დროისათვის მოქმედი სანორმატივო დოკუმენტებით გათვალისწინებული არ იყო ამ ძალების ზემოქმედება.

მაგრამ განა მარტო ბუნებაა დამნაშავე? ეფიქრობთ, რომ „თბილისპიროპროექტის“ დამპროექტებლები მაინც ვალდებული იყვნენ გამოეჩინათ მეტი წინდახედულება, მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ მომავალი რაიონის მცხოვრებლებს, რომლებსაც დროის მიხედვით კიდევ უფრო შეუკვეცეს გრაფიკით მიწოდებული ისედაც მცირე წყალი. რა მოხდა?

— მაგრამ ავარიის შედეგების გაანალიზებისას, — თქვა ენინგალის ჰიდროკვანძის სამშენებლო სამმართველოს მეოთხე უბნის უფროსმა გ. მესხმ, — ყველაფერი როდი იყო გათვალისწინებული. უკანასკნელ ხანს წყალსატარის ახალ ადგილებში თავი იჩინა ხარვეზებმა. გულახდილად რომ გითქვათ, იგი ხელახლა გვაქვს ასაშენებელი.

წყალსატარის აღდგენა აუცილებელია, და იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ კვლავ არ დავასახლოთ ბუნება ობიექტურ გარემოებად, ახალი ავარიის მიზეზად. ეს უკანასკნელი კი ამიერიდან საერთოდ აღარ უნდა მოხდეს, თორემ ეს გაკვეთილი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვტანს...

— ჩვენ გავითვალისწინეთ ეს გაკვეთილი, — თქვა საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგოშენის“ უფროსმა მ. ცისკარიშვილმა. — ენინგალში თავი მოვუყარეთ გვირაბგამყვანთა საუკეთესო კადრებს. გადავწყვიტეთ აგრეთვე საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ვადამდე დასრულდა სამუშაოები წყალსატარის აღდგენის ძირითად ფრონტზე. ადამიანები მუშაობენ ორ ცვლად — ვახტური მეთოდით. თებერვლის დამლევამდე წყალსატარი მთლიანად მზად იქნება ენინგალის წყლის მისაღებად.

თ. ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ჯაზური მუსიკის ფესტივალი

მიმავალი წლის შემოქმედებითს შედეგებს შეაჯამებენ ქვეყნის ჯაზის კოლექტივები, რომლებიც შეიკრიბნენ დონეცკში. აქ გაიხსნა მუსიკის ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა წამყვანმა შემსრულებლებმა. ისინი წარმოადგენენ თანამედროვე ჯაზის ყველა ძირითად სტილსა და მიმართულებას. მონაწილეთა შორის არიან მოსკოველი პიანისტი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ლ. ჩიე